ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №2164550

ნომერი: AR1331534

თარიღი : 01.08.2015

გაცემის თარიღი : 04.09.2015

გაცნობის თარიღი : 04.09.2015

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

კახეთის ზატკეცილის მიმდებარედ, რადიო სადგურის მიმდებარედ (ნაკვეთი #001/133);

დამკვეთი-განმცხადებელი

- ქეთევან ფანცულაია პ/ნ 01008010269
- თბილისი ი.ჭავჭავაძის გამზ. N 66 ბ. 5

ორგანიზაცია:

- შპს "არტსტუდიო პროექტი" კოდი: 204489393

ნომენკლატურა :

- აშენებული
- სხვა ფუნქციის შენობა
- ლეგალიზება
- უნებართვო მშენებლობა

...სატიტულო ინფორმაცია :

- ...ფუნქციური დანიშნულება : დამხმარე, ტექნიკური ნაგებობები

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს მისი ოფიციალური საიტის www.tas.ge მეშვეობით ელექტრონულად წარმოდგენილი #AR1331534 განცხადებით და შპს „შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი“–ს სახელით მომართა მოქალაქე ქეთევან ფანცულაიამ და მოითხოვა ქ. თბილისში, სამგორში, კახეთის გზატკეცილის მიმდებარედ, რადიო სადგურის

მიმდებარედ #01.19.25.001.133 მიწის ნაკვეთზე უნებართვოდ აშენებული სხვა ფუნქციის შენობის ლეგალიზება, „პროექტის შემთანხმებელი და მშენებლობისნებართვის გამცემი ორგანოს მიერ უნებართვოდან/და პროექტისდარღვევით აშენებული ობიექტების ან მათინაწილების ლეგალიზების შესახებ გადაწყვეტილების მიღების წესის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 24 ნოემბრის #660–ებრძანებულებით დამტკიცებული წესის თანახმად. ვინაიდან #AR1331534 განცხადებაზე თანდართულ დოკუმენტებს აღენიშნებოდათ გარკვეული ხარვეზები, სამსახურის 2015 წლის 6 აგვისტოს #2054857 ბრძანებით განმცხადებელს დაევალა დამატებითი და შესწორებული დოკუმენტების წარმოდგენა, რისთვისაც განესაზღვრა შესაბამისი ვადა.

აუცილებელია აღინიშნოს, რომ სამსახურის 2015 წლის 6 აგვისტოს #2054857 ბრძანებაში ჩამოთვლილი დოკუმენტები, დღეის მდგომარეობით არაა სრულად და სრულყოფილად შესწორებული სახით წარმოდგენილი, კერძოდ: აეროფოტოგადაღებაზე ასახული არაა ბეჭედი და ხელმოწერა და გამომდინარე აქედან, გაურკვეველია ვის მიერაა მომზადებული აეროფოტოგადაღება. საერთო ფართობის ველში მითითებული ფართობი, არ შეესაბამება არქიტექტურული პროექტის გადამოწმების შედეგად მიღებულ საერთო ფართობს. წარმოდგენილი არაა საკადასტრო გეგმის მიხედვით შენობა–ნაგებობა #9–ის ყველა ხედის სრულყოფილად ამსახველი ფოტოსურათები.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83–ე მუხლის მე–5 ნაწილის თანახმად, „თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარადგენს შესაბამის დოკუმენტს ან ინფორმაციას, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია გამოიტანოს გადაწყვეტილება განცხადების განუხილველად დატოვების შესახებ.“

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა, როგორც „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის წესდების (დებულების) დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის #20–104 დადგენილების მე–2 მუხლის „ა“ პუნქტის თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ტერიტორიულ საზღვრებში ერთიანი საჯარო ხელისუფლების განმახორციელებელმა ორგანომ, მიიღო გადაწყვეტილება, #AR1331534 განცხადების განუხილველად დატოვების შესახებ.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83–ე მუხლის მე–5 ნაწილის თანახმად,

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "პროექტის შემთანხმებელი და მშენებლობის ნებართვის გამცემი ორგანოს მიერ უნებართვოდ ან/და პროექტის დარღვევით აშენებული ობიექტების ან მათი ნაწილების ლეგალიზების შესახებ გადაწყვეტილების მიღების წესის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 24 ნოემბრის #660 ბრძანებულების თანახმად

ვბრძანებ

_____ განუხილველად იქნეს დატოვებული მოქალაქე ქეთევან ფანცულაიას #AR1331534 განცხადება.

დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიისცხ ელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ.#7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე #4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.